სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ”

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი

ზურაბ ბუცხრიკიძე

„20“ 11 *2013 წელი*

ეგზ. № 2

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“
შესაბამისობის აუდიტის ანგარიში №53/00
(01.01.2011 – 01.01.2013)

2013 წელი

სარჩევი

აუდიტის ძირითადი მიზანი 3

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა 3

აუდიტორის პასუხისმგებლობა 3

მუნიციპალიტეტის მოკლე მიმოხილვა 4

ინფორმაცია „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ შესახებ 5

საქართველოს მთავრობის განკარგულების მიხედვით პროგრამის ძირითადი მიზნებია 7

პროგრამით გამოყოფილი თანხების მიზნობრიობა 7

პირობითი მოსაზრების საფუძვლები 8

- *„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში სამუშაოების შესრულებასა და ანგარიშგებაზე განხორციელებული კონტროლის ნაკლოვანებები:* 8
- *ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანიზაციისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ შედგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების ნაკლოვანებები:* 9
- ღრმაღელის თემში, სოფ. წყალწმინდაში წყლის სისტემის მოწყობა 10
- ღრმაღელის თემში, სოფელ ორმეთში შეუსრულებელი სამუშაოები 12

ღრმაღელის თემში, სოფელ წყალწმინდაში ფეხბურთის მოედნის მოწყობა 14

გზების ორმოვანი შეკეთება. 15

სხვა მნიშვნელოვანი საკითხები: 16

- *სოფლის კრებებზე ადგილობრივი მოსახლეობის დასწრების აქტივობა* 16
- *კრების ოქმებში მითითებული თანხები* 16
- *საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის №1463 ბრძანების მოთხვნათა გაუთვალისწინებლობა.* 16

აუდიტის დასკვნა 18

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი 18

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 18

აუდიტის ძირითადი მიზანი

აუდიტის მიზანია, გასცეს დასკვნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ 2011-2012 წლებში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში“ განხორციელებული საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.

აუდიტის დასკვნაში ასევე აისახა:

- *მართლზომიერი ხარჯვა* - საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურად და პროდუქტიულად ხარჯვის ვალდებულების დაცვა.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა ორგანიზაციაში იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის დანერგვა და ზედამხედველობა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში“ განხორციელებული საქმიანობა შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებს. გარდა ამისა, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია აუდიტორებისათვის მოწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი აუდიტის საფუძველზე გამოთქვამს მოსაზრებას, თუ რამდენად შეესაბამება აუდიტის ობიექტის მიერ განხორციელებული საქმიანობა მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებს, ასევე რამდენად ეკონომიურად და პროდუქტიულად არის განხორციელებული ფინანსური სახსრების ხარჯვა. აუდიტი ჩატარებულია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) მიხედვით და აუდიტორების მიერ დაცულ იქნა ეთიკის ყველა ის მოთხოვნა, რასაც ითვალისწინებს აღნიშნული საერთაშორისო სტანდარტები, საქართველოს კანონმდებლობა და სხვა მარეგულირებელი ნორმები.

პროფესიული განსჯის საფუძველზე აუდიტორი არჩევს პროცედურებს, რომლებიც მისი მოსაზრებით, საჭიროა აუდიტორული მტკიცებულებების

მოსაპოვებლად და აუდიტის ობიექტის საქმიანობაში არსებული უზუსტობებისა და რისკების შესაფასებლად, რაც თავის მხრივ გამოწვეულია განზრახ არამართლზომიერი ქმედებით ან შეცდომით.

ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები არის საკმარისი და შესაფერისი საფუძველი, აუდიტორული დასკვნების გასაკეთებლად.

მუნიციპალიტეტის მოკლე მიმოხილვა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში შედის 1 ქალაქი და 55 სოფელი, რომლებიც გაერთიანებულია 15 თემში (ტერიტორიული ორგანო). მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რიცხოვნობა შეადგენს 38900 ადამიანს. მუნიციპალიტეტის მიწის მთლიანი ფონდია 533 კმ^2.

2011-2012 წლებში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოეყო 1523.8 ათასი ლარი. გამოყოფილი თანხები საქართველოს მთავრობის განკარგულების[1] შესაბამისად, განაწილებულია მუნიციპალიტეტში შემავალ 55 სოფელზე და გახარჯულია სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ პროექტზე.

2012 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან „სოფლის მხარდაჭერის პროგრამისათვის“ გამოყოფილი თანხა 22,3%-ით აღემატება 2011 წელს გამოყოფილ თანხას.

ცხრილი №1. 2011-2012 წლებში „სოფლის პროგრამის ფარგლებში“ გამოყოფილი და ათვისებული თანხები

	გამოყოფილი თანხა	ათვისებული თანხა	სხვაობა	შენიშვნა
2011 წელი	685466	685441	25	დაბრუნებულია სახელმწიფო ბიუჯეტში 2012 წლის 19 მარტს
2012 წელი	838296	838296	0	
სულ:	1523762	1523737	25	

[1] საქართველოს მთავრობის დადგენილება N20 2011 წლის 13 იანვარი. საქართველოს მთავრობის დადგენილება N23 2012 წლის 24 იანვარი.

2011-2012 წლებში მუნიციპალიტეტმა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში სულ განახორციელა 237 გამარტივებული შესყიდვა. მათ შორის, 2011 წელს - 82[2], ხოლო 2012 წელს - 155 შესყიდვა. მუნიციპალიტეტის მიერ მიმწოდებლებად უმეტეს შემთხვევებში შერჩეული არიან ადგილობრივი მეწარმეები, რომელთაც გაუფორმდათ ხელშეკრულებები პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხების შესაბამისად.

2011-2012 წლებში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის თემების მიხედვით გამოყოფილი თანხა გადანაწილდა შემდეგნაირად:

დიაგრამა №1. გამოყოფილი თანხების გადანაწილება თემების მიხედვით



ინფორმაცია „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ შესახებ

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, ყოველწლიურად საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე,

[2] რამდენიმე შემთხვევაში, ერთი ხელშეკრულების ფარგლებში გაერთიანებულია 2-3 სოფელი.

მტკიცდება „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“, რომელიც თავისი არსით გულისხმობს ადგილობრივი მოსახლეობის სხვადასხვა სახის საჭიროებების მოგვარებას და ამ საჭიროებათა მოგვარებაში საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფას.

სოფლის პროგრამების მეშვეობით, მუნიციპალიტეტში ხდება სხვადასხვა ადგილობრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული საკითხის გადაწყვეტა, რომლებიც ძირითადად ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ განხორციელების საწყის ეტაპზე მუნიციპალიტეტის თემის რწმუნებულები, სოფლებში ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად განსაზღვრავენ სოფლის საჭიროებებს და ადგენენ პრიორიტეტებს. სოფლის რწმუნებული აწყობს სოფლის საერთო კრებას. კრებაზე მოსახლეობა წარმოადგენს სოფლის საჭიროებებს, შემდეგ ხდება დასმული საკითხების შეფასება და შერჩევა. აღნიშნული საკითხები შედის კრების ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ მუნიციპალიტეტის თემის რწმუნებული და კრებაზე დამსწრე პირები. ასევე, კრების ოქმებს ერთვის საერთო კრებაზე მონაწილე პირთა რეგისტრაციის ფორმა. მიღებულ გადაწყვეტილებებს სოფლის პროგრამით გამოყოფილი თანხით შესასრულებელი პროექტების შესახებ, თემის რწმუნებული უგზავნის მუნიციპალიტეტის გამგებელს.

შესასრულებელ სამუშაოზე ხელშეკრულება ფორმდება გამარტივებული შესყიდვის საშუალებით[3]. სამუშაოს შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახური (ინსპექტირების ჯგუფი), თემის რწმუნებული და საინიციატივო ჯგუფი. სამუშაოების დასრულების შემდეგ, მიმწოდებელი ადგენს შესრულებული სამუშაოს აქტს. ინსპექტირების ჯგუფის მიერ ხდება შესრულებული სამუშაოების მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

[3] გამარტივებული შესყიდვით შეძენის უფლება ნებადართულია საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე.

საქართველოს მთავრობის განკარგულების[4] მიხედვით პროგრამის ძირითადი მიზნებია

- პროგრამით გათვალისწინებული თანხის წარმართვა სოფლის პირველი რიგის სოციალურ-ეკონომიკურ საჭიროებათა დასაფინანსებლად (ადგილობრივი ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაცია, კეთილმოწყობის სამუშაოების განხორციელება და სხვ.);
- თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის მხარდაჭერა;
- მოსახლეობასა და თვითმმართველობის ორგანოთა შორის ურთიერთობის გაუმჯობესება;
- თვითმმართველობის დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება და თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის – თვითმმართველი ერთეულის რწმუნებულის უფლებამოსილებათა ეფექტიანად განხორციელება.

პროგრამით გამოყოფილი თანხების მიზნობრიობა

საქართველოს მთავრობის განკარგულების მიხედვით, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ გამოყოფილი თანხების მიზნობრიობა შედგება შემდეგი კრიტერიუმებისაგან:

- *შესყიდულ სამუშაოს უნდა ჰქონდეს ხანგრძლივი გამოყენების დანიშნულება და არ უნდა იყოს მიმართული მოკლევადიანი მოხმარებისათვის.*
- *სამუშაოთა შესასრულებლად მაქსიმალურად უნდა დასაქმდეს შესაბამისი სოფლის მოსახლეობა.*
- *განსახორციელებელი პროგრამით სარგებლობის საშუალება უნდა ჰქონდეს სოფლის მოსახლეობის უმრავლესობას.*

[4] 2011 წლის 31 იანვრის №201 განკარგულება; 2012 წლის 31იანვრის №162 განკარგულება.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2011-2012 წლებში „სოფლის პროგრამის ფარგლებში“ სამუშაოების შესასრულებლად გამოყოფილი თანხები სამუშაოების მიხედვით:

დიაგრამა №2. გამოყოფილი თანხების გადანაწილება შესრულებული სამუშაოების მიხედვით



პირობითი მოსაზრების საფუძვლები

- *„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში სამუშაოების შესრულებასა და ანგარიშგებაზე განხორციელებული კონტროლის ნაკლოვანებები:*
  - 2011-2012 წლებში ინფრასტრუქტურის, ურბანიზაციისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ შედგენილი ხარჯთაღრიცხვების უმრავლესობაში ყოველგვარი კალკულაციისა და ნორმების დაცვის გარეშე ჩადებული იყო „სხვადასხვა ხარჯებისა“ და „გაუთვალისწინებელი ხარჯების“ მუხლი. შესრულებული სამუშაოების აქტში აღნიშნული მუხლები გადმოტანილია შეუცვლელად. ვერ ხერხდება დადგენა, რეალურად რა სახის სამუშაოებზე გაიხარჯა ამ მუხლებით

გაწერილი თანხები. აღნიშნულის გამო, მუნიციპალიტეტის მიერ 2011-2012 წლებში 15.2 ათასი ლარი ანაზღაურებულია დაუსაბუთებლად[5].

- 2011-2012 წლებში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში“ განხორციელებული სამუშაოების შესრულებისას, გამოვლენილია სახელშეკრულებო ვადის დარღვევის ექვსი ფაქტი[6]. ინსპექტირების ჯგუფის მიერ სამ შემთხვევაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო არ არის სრულად დარიცხული და შეადგენს 0.3 ათას ლარს.

➢ *ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანიზაციისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ შედგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების ნაკლოვანებები:*

- 239 შედგენილი ხარჯთაღრიცხვიდან - 16 შეიცავს უზუსტობებს, რის შედეგადაც ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მირ დაუსაბუთებლად გადახდილია 4.9 ათასი ლარი. სავარაუდოდ, აღნიშნული თანხა თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან ზედმეტად არის ანაზღაურებული.
- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2011-2012 წლების „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში“ განხორციელებული სამუშაოების შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ შედგენილ ხარჯთაღრიცხვებში „სხვადასხვა ხარჯები“ და „ტრანსპორტის ხარჯები“ არაგონივრულად არის გაზრდილი. მაგალითად: 2012 წლის 25 მაისს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტსა და ი/მ იოსებ აფხაძეს შორის გაფორმდა №145 ხელშეკრულება - 3.0 ათას ლარზე, რომელიც ითვალისწინებდა სოფ. ქვემო შუხუთში, ლელოს ქუჩაზე სასაფლაოს გალავნის აგურის ნაწილის (159.7 $მ^2$) გალაქვას. შესრულებული სამუშაოს აქტიდან ჩანს, რომ სამუშაოს შესასრულებლად მიმწოდებელს ესაჭიროებოდა 11.8 კგ ლაქი და 11.2 $მ^2$ ზუმფარა. აღნიშნული მასალების ტრანსპორტირებისათვის ხარჯთაღრიცხვის მიხედვით გათვალისწინებული იყო 5-ტონიანი „ბორტიანი“ ავტომობილი, რომლის გამოყენება საჭირო არ იყო, მასალების მოცულობიდან გამომდინარე.

[5] 2011 წელს - 8.04 ათასი ლარის, 2012 წელს - 7.16 ათასი ლარის.
[6] 2011 წელს - ხელშეკრულებები №66, №75, №81. 2012 წელს- ხელშეკრულებები №104, №118, №161.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანიზაციისა და არქიტექტურის სამსახურის საპროექტო განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელის ახსნა-განმარტებით, ხარჯთაღრიცხვების შედგენამდე ცნობილი იყო თითოეული სოფლისათვის გამოყოფილი თანხის ოდენობა. სოფლის კრების ოქმებით დადგენილი პრიორიტეტების მიხედვით, განისაზღვრა ღირებულებების სავარაუდო ფასი, წინა წლების გამოცდილების გათვალისწინებით, რომლის საფუძველზეც დადგინდებოდა დასახელებული პრიორიტეტებიდან, რა მოცულობის სამუშაოს შესასრულებლად იყო საკმარისი თანხა. აღნიშნული გარემოებების შემდეგ დგებოდა დეტალური ხარჯთაღრიცხვა სამუშაოს შესასრულებლად საჭირო მასალის, შრომითი რესურსის, მოცულობებისა და ღირებულების დაანგარიშებით. რადგან წინასწარ იყო განსაზღვრული ობიექტის სავარაუდო ღირებულება, დეტალური გაანგარიშებიდან მიღებული სხვაობები ნაწილდებოდა „სხვადასხვა ხარჯებში“ და „ტრანსპორტის ხარჯებში“. აღნიშნულიდან გამომდინარე, არაგონივრულად გაზრდილია ტრანსპორტის ხარჯი.[7]

➢ ღრმაღელის თემში, სოფ. წყალწმინდაში წყლის სისტემის მოწყობა

სოფელ წყალწმინდაში, სოფლის მოსახლეობის მოთხოვნით, წყლის სისტემის მოწყობისათვის შესრულებულია სამუშაო, რომლის ღირებულებამ შეადგინა 33.3 ათასი ლარი. აღნიშნული სამუშაო ითვალისწინებდა მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფას. მიღებული წყლის დებეტი არ არის საკმარისი ოდენობის და ასევე, მისი გამოყენება შეუძლებელია როგორც სასმელად, ისე საყოფაცხოვრებო დანიშნულებისათვის. არ მომხდარა მიღებული წყლის ლაბორატორიული შესწავლა.

2012 წლის 22 მაისს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტსა და ი/მ ამირან ფირცხალაიშვილს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, ჯამური ღირებულებით - 41.2 ათასი ლარი, რომელიც მოიცავდა ორ სხვადასხვა სამუშაოს. კერძოდ: 1. „სოფ. წყალწმინდაში, რკინიგზის მარჯვენა მხარეს, მოსახლეობაში წყლის გაყვანა“ -

[7] ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანიზაციისა და არქიტექტურის სამსახურის საპროექტო განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელის ახსნა-განმარტება.

ღირებულებით 25.3 ათასი ლარი და 2. „სოფ. ღრმაღელის საჯარო სკოლასთან არსებული სტადიონის შემოღობვა“ - ღირებულებით 15.9 ათასი ლარი.

„სოფ. წყალწმინდაში, რკინიგზის მარჯვენა მხარეს, მოსახლეობაში წყლის გაყვანის“ პროექტში გათვალისწინებული იყო არტეზიული ჭის მოსაწყობად 30 მეტრის სიღრმეზე ბურღვითი სამუშაოების ჩატარება, რომლის სახელშეკრულებო ღირებულება 7.5 ათასი ლარით განისაზღვრა.

სამუშაოს შესრულებისას გამოვლინდა, რომ შესრულებული სამუშაო მოცემულ სიღრმეზე ვერ უზრუნველყოფდა საკმარისი წყლის ოდენობის მიღებას და საჭიროებდა დამატებით სამუშაოებს. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტსა და ი/მ ამირან ფირცხალაიშვილს შორის გაფორმდა ახალი ხელშეკრულება სოფელ წყალწმინდაში წყლის დებეტის გასაზრდელად, რომლის სახელშეკრულებო ღირებულება განისაზღვრა 8.0 ათასი ლარით. ბურღვითი სამუშაოების შესასრულებლად ი/მ ამირან ფირცხალაიშვილმა გააფორმა 14.8 ათასი ლარის[8] ღირებულების ქვეკონტრაქტი ი/მ მიხეილ შოვნაძესთან.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ხელშეკრულების დამდებ „არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე“[9].

შესრულებული სამუშაოს ვიზუალური დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ პირველ ჭაბურღილში არასაკმარისი წყლის რაოდენობის გამო მოეწყო მეორე ჭაბურღილი 60-70 მეტრის სიღრმეზე (პირველი ჭაბურღილიდან 1 მეტრის მოშორებით). მიუხედავად ამისა, სოფლის მოსახლეობისათვის ვერ ხერხდება საჭირო რაოდენობის წყლის მიწოდება, ამასთანავე, არსებული ჭაბურღილიდან მოპოვებული წყლის გამოყენება შეუძლებელია როგორც სასმელად, ისე საყოფაცხოვრებო დანიშნულებისათვის. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანიზაციისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის განმარტებით, აღნიშნული

[8] №131 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ 7.5 ათას ლარს და შემდეგში დამატებითი სამუშაოების ღირებულებას - 7.3 ათას ლარს.
[9] აღნიშნული ხელშეკრულების მე-15 მუხლის 15.1 პუნქტი.

არტეზიული ჭის ბურღვითი სამუშაოების შესახებ არ ჩატარებულა შესაბამისი კვლევა, ასევე არ მომხდარა მიღებული წყლის ლაბორატორიული შესწავლა.

„სოფ. წყალწმინდაში, რკინიგზის მარჯვენა მხარეს მოსახლეობაში წყლის გაყვანის“ პროექტი არტეზიული ჭის მოწყობის გარდა, ითვალისწინებდა: რეზერვუარის კოშკურის, კოშკურის საძირკვლის, მოსახლეობაში ქსელის მოწყობის, რეზერვუარის შეღებვის, დენის წყაროს ჭაბურღილამდე მიყვანის სამუშაოებს.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ აღნიშნული სამუშაოების შესრულება უმჯობესია მომხდარიყო მას შემდეგ, რაც მიღებული წყლის დებეტი საკმარისი იქნებოდა სოფლის მოსახლეობის დასაკმაყოფილებლად.

➢ ღრმაღელის თემში, სოფელ ორმეთში შეუსრულებელი სამუშაოები

სოფელ ორმეთში ჩატარებული კრების ოქმით, მოსახლეობის მიერ დასახელებული ორი სამუშაოდან ერთ-ერთი არ არის შესრულებული, რომლის სახელშეკრულებო ღირებულება 8.0 ათას ლარს შეადგენს.

2012 წლის 26 მარტს, ღრმაღელის ტერიტორიული ორგანოს სოფ. ორმეთში ჩატარებულ კრებაზე, მოსახლეობის მიერ დასახელდა ორი შესასრულებელი სამუშაო:

1. კეჭეხმაძეების უბანში ხიდის აღდგენა, გაბიონის მოწყობა და გზის ორმოვანი შეკეთება.

2. ოთარ ჯიჯიეშვილის ეზოდან გაბეჩავას ეზომდე სანიაღვრე არხებისა და ოთხ ადგილას ცხაურის მოწყობა.

ამავე კრების ოქმში, მოსახლეობის მიერ კენჭისყრით არჩეულია მე-2 სამუშაოს შესრულება.

2012 წლის 22 მაისს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტსა და ი/მ ამირან ფირცხალაიშვილს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა ხუთი სხვადასხვა სამუშაოს შესრულებას, მათ შორის იყო ზემოთ აღნიშნული ორივე სამუშაო. „კეჭეხმაძეების უბანში ხიდის აღდგენა, გაბიონის მოწყობა და გზის ორმოვანი შეკეთება“ სამუშაოსთან დაკავშირებით, მომზადებული ხარჯთაღრიცხვით პროექტის ღირებულება შეადგენს 8.0 ათას ლარს.

2012 წლის 18 ივნისის წყალდიდობისას, აღნიშნული ობიექტი დამატებით დაზიანდა, რისი აღმოფხვრაც „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ გათვალისწინებული თანხით შეუძლებელი გახდა და აღნიშნული სამუშაო გათვალისწინებულია სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოებში.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტსა და ი/მ ამირან ფირცხალაიშვილს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში შეტანილია ცვლილება[10], რომლის თანახმად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოებიდან ამოღებულ იქნა „კეჭეხმაძეების უბანში ხიდის აღდგენა, გაბიონის მოწყობა და გზის ორმოვანი შეკეთების“ სამუშაო, ღირებულებით 8.0 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა, ღრმაღელის თემის სოფელ ორმეთიდან გადატანილია სოფელ წყალწმინდაში, მიმდინარე წყალგაყვანილობის სამუშაოების დასრულების მიზნით. წყალგაყვანილობის სამუშაოების პროექტი არ ითვალისწინებდა სოფელ ორმეთის მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგებას და ის მხოლოდ სოფელ წყალწმინდის მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფას ემსახურებოდა. საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 იანვრის №23 დადგენილების თანახმად: საერთო ინტერესების გათვალისწინებით დასაშვებია რამდენიმე სოფ-ლისათვის გამოყოფილი თანხის გაერთიანება, ამ სოფლების საერთო პრობლემის გადასაწყვეტად. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, 2011-2012 წლებში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში“ ორ სოფელს საერთო პროგრამა არ განუხორციელებია.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის მიზნები“ არ არის მიღწეული, რომელთაგან ერთ-ერთი გულისხმობს „პროგრამით გათვალისწინებული თანხის წარმართვას სოფლის პირველი რიგის სოციალურ-ეკონომიკურ საჭიროებათა დასაფინანსებლად“.

[10] ცვლილების საფუძველი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანიზაციის, არქიტექტურისა და საპროექტო სამსახურის უფროსის მოხსენებითი ბარათი (26.06.2012) და . ი/მ ამირან ფირცხალაიშვილის განცხადება (30.07.2012).

2011-2012 წლებში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში შესრულებულ სამუშაოებზე მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული მიზნობრიობის კრიტერიუმების დაცულობა:

მიზნობრიობის დაცულობა	**მთლიანი სამუშაოები**		**ნაწილობრივ აკმაყოფილებს**	
სამუშაოს ტიპი	სამუშაოების რაოდენობა / თანხა (ათასი ლარი)		სამუშაოების რაოდენობა / თანხა (ათასი ლარი)	
გზის ორმული შეკეთების სამუშაოები	23	106.9	23	106.9
ფეხბურთის მოედნის კეთილმოწყობა	14	129.7	1	13

საქართველოს მთავრობის განკარგულების მიხედვით, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ გამოყოფილი თანხების მიზნობრიობა განისაზღვრება შემდეგი კრიტერიუმებით:

- *შესყიდულ სამუშაოს უნდა ჰქონდეს ხანგრძლივი გამოყენების დანიშნულება და არ უნდა იყოს მიმართული მოკლევადიანი მოხმარებისათვის.*
- *სამუშაოთა შესასრულებლად მაქსიმალურად უნდა დასაქმდეს შესაბამისი სოფლის მოსახლეობა.*
- *განსახორციელებელი პროგრამით სარგებლობის საშუალება უნდა ჰქონდეს სოფლის მოსახლეობის უმრავლესობას.*

ღრმაღელის თემში, სოფელ წყალწმინდაში ფეხბურთის მოედნის მოწყობა *2010 -2011 წლებში „*

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში“ სოფ. წყალწმინდაში შესრულდა ახალი ფეხბურთის მოედნის მოწყობის სამუშაოები, რისთვისაც გახარჯულია 28.4 ათასი ლარი[11]. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ აღნიშნული მოედნის დანიშნულებისამებრ გამოყენება ვერ ხერხდება.

სოფელ წყალწმინდაში ფეხბურთის მოედნის მოწყობა დაიწყო 2010 წელს, რა დროსაც მოედანი შემოიღობა მავთულბადით და მოეწყო საწრეტი არხები. 2011 წელს მოეწყო კარებები, მაყურებელთა დასაჯდომი ადგილები, კარებებთან მოეწყო

[11] 2010 წელს - 15.4 ათასი ლარი, ხოლო 2011 წელს - 13.0 ათასი ლარი.

დამატებითი მავთულბადე, მოსწორდა მოედანთან მისასვლელი გზა და განხორციელდა მოედნის მოზვინვა-მოშანდაკება. ინსპექტირების ჯგუფის მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტებიდან გამომდინარე, პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები მიმწოდებლის მიერ შესრულებულია სახელშეკრულებო პირობების დაცვით.

ღრმაღელის თემის რწმუნებულისაგან მოწოდებული ინფორმაციით და აუდიტის ჯგუფის მიერ აღნიშნული მოედნის ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ ფეხბურთის მოედნის ზედაპირი არ არის საკმარის სიმაღლეზე აწეული საერთო დონიდან, რის გამოც მოედანი დაჭაობებულია და ვერ ხერხდება მისი დანიშნულებისამებრ გამოყენება. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნულის მიზეზი ის არის, რომ მოედნის მოსაწყობად არასწორად იყო შერჩეული ადგილი და ამ დროისათვის ამოვსებულია საწრეტი არხები.

მოედნის დანიშნულებისამებრ გამოუყენებლობა გამოწვეულია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ხარვეზით, თუ მიმწოდებლის მიერ საპროექტო მოცულობების დარღვევით, შესაძლებელია დადგინდეს შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ.

გზების ორმოვანი შეკეთება. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2011-2012 წლებში „სოფლის პროგრამის ფარგლებში“ გაიხარჯა 1523.8 ათასი ლარი, აქედან 7,0% (106.9 ათასი ლარი) გამოყენებულია გზების ორმოვანი შეკეთებისათვის. აღსანიშნავია, რომ ორმოვანი შეკეთების სამუშაოები თავისი არსით იგივე გზების მიმდინარე შეკეთებაა, რომელსაც ტექნიკური თვალსაზრისით შეიძლება არ ჰქონდეს ხანგრძლივი გამოყენების ეფექტი. მიუხედავად ამისა, მოსახლეობა პრიორიტეტად მაინც ამ სამუშაოს ასახელებს, რომელიც მიზანშეწონილია დაიგეგმოს გზის საფარის დამცავ სამუშაოებთან ერთად. მიუხედავად ამისა, 2011-2012 წლებში, გზის ორმოვან შეკეთებაზე შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადა ხელშეკრულებების მიხედვით, განისაზღვრება 2-3 წლით. აუდიტის ჯგუფს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოუდგინა შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადის მონიტორინგის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხები:

- *სოფლის კრებებზე ადგილობრივი მოსახლეობის დასწრების აქტივობა.* 2011 წელს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, სოფლის კრებებს ესწრებოდა მოსახლეობის მინიმუმ 1,5% და მაქსიმუმ 4,7%. 2011 წელს მუნიციპალიტეტის სოფლის კრებებზე მოსახლეობის დასწრების საშუალო მაჩვენებელი 3,1%-ია. 2012 წელს კრებები იმართებოდა თემის მთლიანი მოსახლეობისთვის, შეხვედრებს ესწრებოდა სოფლის მოსახლეობის მინიმუმ - 1% და მაქსიმუმ - 15%. 2012 წელს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფლის კრებებზე მოსახლეობის დასწრების საშუალო მაჩვენებელი 3,6%-ია, რაც მიუთითებს იმაზე, რომ სოფლის მოსახლეობის ჩართულობა თვითმმართველობის განხორციელებაში დაბალია.
- *კრების ოქმებში მითითებული თანხები.* 2011 წელს, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ განსახორციელებელი სამუშაოების განსაზღვრის მიზნით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ყველა თემში სოფლის კრებები ჩატარებულია 2010 წლის ნოემბერსა და დეკემბერში. 2010 წლის კრების ოქმებში მითითებულია თითოეული სოფლისათვის გამოყოფილი თანხები 2011 წლის „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ განსახორციელებელი სამუშაოების შესასრულებლად. კრების ოქმებიდან ირკვევა, რომ პირველი კრება ჩატარდა 2010 წლის 16 ნოემბერს[12]. არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ აღნიშნული ოქმები არ არის შედგენილი რეალურ დროში, რადგან „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ დამტკიცების შესახებ მთავრობის №20 დადგენილება დამტკიცებულია 2011 წლის 13 იანვარს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტი დამტკიცებულია 2010 წლის 20 დეკემბერს[13].

- *საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის №1463 ბრძანების მოთხვნათა გაუთვალისწინებლობა.*

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის ბრძანება ითვალისწინებს: სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული

[12] კრების ოქმები დათარიღებულია 2010 წლის ნოემბრის 16,17,18,19,25,27,29,30 რიცხვებით და 2010 წლის დეკემბრის 1,2,3,6,7,8,9 რიცხვებით.

[13] ვებგვერდზე ატვირთულია 2010 წლის 29 დეკემბერს

შესყიდვის დროს შესრულებული სამუშაოების ღირებულების განსაზღვრას ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით, ხოლო სამუშაოების შემსრულებელი კომპანიის მიერ დაქირავებული მანქანა-მექანიზმებისა და ინვენტარის ქირავნობის ღირებულება შესრულებული სამუშაოს აქტში გათვალისწინებული უნდა იყოს ზედნადები ხარჯებისა და გეგმური დაგროვების დარიცხვის გარეშე. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის №1463 ბრძანება მოქმედებს 1 ივლისის შემდგომ აღიარებულ სამუშაოებზე. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში 2012 წლის 1 ივლისის შემდეგ სამშენებლო სამუშაოებზე სულ გაფორმებულია 2 ხელშეკრულება. ორივე შემთხვევაში შესრულებული სამუშაოები მიღებულია აღნიშნული ბრძანების მოთხოვნათა გაუთვალისწინებლად. კერძოდ:

- 2012 წლის 3 აგვისტოს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტსა და ი/მ ამირან ფირცხალაიშვილს შორის გაფორმდა 8.0 ათასი ლარის ღირებულების ხელშეკრულება, რომელიც მოიცავდა ღრმაღელის თემის, სოფელ წყალწმინდაში ჭაბურღილზე წყლის დებეტის გაზრდისა და არსებულ ქსელზე დაერთების სამუშაოების შესრულებას. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ი/მ ამირან ფირცხალაიშვილმა აღნიშნული სამუშაო შეასრულა ქვეკონტრაქტორის მეშვეობით. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის №1463 ბრძანების შესაბამისად, ქვეკონტრაქტორს შესრულებულ სამუშაოზე აღარ უნდა განეხორციელებინა ზედნადები ხარჯებისა და გეგმური დაგროვების დარიცხვა, რაც ჯამურად 0.7 ათას ლარს შეადგენს.
- 2012 წლის 21 სექტემბერს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტსა და შპს „გზა-მშენებელი-13“-ს შორის გაფორმდა 1.7 ათასი ლარის ღირებულების ხელშეკრულება, რომელიც მოიცავდა სოფ. სუფსის ცენტრში არსებული მოედნის ორმულ დამუშავებას ასფალტით. აღნიშნული სამუშაო უნდა ჩაბარებულიყო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის №1463 ბრძანების მიხედვით, ფაქტობრივი ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის

შესაბამისად. სამუშაოს ჩაბარება განხორციელდა აღნიშნული ბრძანების მოთხოვნათა გაუთვალისწინებლად.

აუდიტის დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძვლების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2011-2012 წლების „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ შესრულებული სამუშაოები ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით განხორციელებულია „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებების მიხედვით.

მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია პირობითი აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აუდიტორ–ასისტენტი:
ირაკლი გოგოლიძე ხელმოწერა 18.11.2013 თარიღი

აუდიტორ–ასისტენტი:
ირაკლი კოხრეიძე ხელმოწერა 18.11.2013 თარიღი